წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი 1918 წ. მარიამობისთვის 8 № 155

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უმისოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა წლიურად [illegible] 18 მ. [illegible] (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადებების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. [illegible] განცხადებათა [illegible] 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 1 მ. და 50 კ. [illegible] კონტორის [illegible] 1½ [illegible] კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 8 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 [illegible]. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ლატარია

**აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ ყოვლად უდავო. მომგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.**

ლატარიის ბილეთები გახს ათასორმოცდა ათი (1050) ცალით. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. უკვე გასყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანს (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის" ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისთვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. ლევით გურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის კომიტეტი.

## ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დავალება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მიმართონ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე ([illegible]) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

## გენერალ მაზნიაშვილის ოპერაცია

თბილისის რუსული გაზეთები, უეჭველია, ასტეხენ განგაშს გენერალ მაზნიაშვილის მამაც რაზმის მოქმედების გამო. ჯერ თუაფსესთან არც კი იყო მიახლოვებული დაუღალავი სარდალი, რომ „ტრუდოვოე ზნამია"-მ და „ნაროდნაია სვობოდა"-მ ქვეყანას მოჰფინეს—რესპუბლიკანური საქართველოს სოციალისტური მთავრობა იმპერიალისტურ, დამპყრობელ პოლიტიკას აწარმოებსო. მაშინაც ჩვენ იძულებული ვიყავით ამ ჰოტენტოტურ ფსიხიკის ადამიანებისათვის განგვემარტა ან-ბანი სახელმწიფო უფლების მოვლენათა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით წინდაწინვე, რომ რუს მხედრის გაზეთში განზრახ ამახინჯებენ ფაქტებს, რათა ჩირქი მოსცხონ მათთვის მოუწონებელ საქართველოს სახელმწიფოს მმართველობას. დღევანდელი დეპეშა გენერალ მაზნიაშვილისა, ალბად, მთლად ააწნევს გონებას ჩვენი სამშობლოს მტრებს: სახელოვანი გენერალი იტყობინება, რომ ვინაიდგან სტანცია ბელორეჩენსკაიაში თავმოყრილი 4000 მტრის ჯარი აპირებდა ჩვენს რაზმზე თავსდასხმას, იგი იძულებული გახდა თვითონ ეწარმოებინა შეტევა და ექვსი საათის განუწყვეტელ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ბოლშევიკური ბრბოები. გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგის დიდ-ძალი ქონება ჩავარდა ჩვენს ჯარს ხელში, ანტონოვის ბოლშევიკურმა „ჯარმა" დაჰკარგა ასობით დახოცილ-დაჭრილები, ხოლო საქართველოს ლაშქრის დანაკლისი გამოიხატება რიცხვში: 7 მოკლული და 15 დაჭრილი. რასაკვირველია, ახლაც იტყვიან, რომ შეუწყნარებელია „წმინდა რუსულ ტერიტორიაზე" სამხედრო მოქმედების გადატანა, მაგრამ ყველასათვის, გარდა აშკარა, თუ დაფარულ მოღალატისათვის, ცხადია, რომ საქართველოს შეიარაღებულ გამოსვლას აქვს მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის ხასიათი. რაც შეეხება რუსეთის მიწა-წყალზე გადასვლას, საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა გამოწვეულია განსაკუთრებით სტრატეგიული მოსაზრებით. მართლაც, წარმოუდგენელია მებრძოლი ჯარი ხელფეხ შეკრული ეყოლებს და ებრძანოს, რომ არ შეუძლიან მას არაფრით შემთხვევაში სახელმწიფო საზღვრის გადალახვა. ეს ხომ ოპერაციის წაგებით დამთავრდება, მეტი რომ არა ვსთქვათ. შავი ზღვის სანაპიროებზე საქართველოს ლაშქარი ნამდვილ ომს აწარმოებს ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის დანიშნულება და მოვალეობა იმაში კი არ იყო, რომ გაეთავისუფლებინა საქართველოს ტერიტორია შემოსეულ მტრისაგან: მტერს უნდა მოესპოს ყოველი საშუალება განმეორებითი თავდასხმისა, და ამას ჩვენი ჯარი მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ ენერგიულად, ფეხ-და-ფეხ გამოუდგება უკუქცეულ მტერს და მას არარად აქცევს, როგორც საომარ ძალასა და ერთეულს. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ასე ესმის მოვალეობა გენერალ მაზნიაშვილს. ჩვენ გვჯერა, რომ მთავრობაც და სამხედრო შტაბიც იზიარებს მისმიერ შემუშავებულ გეგმას და ხელს შეუწყობენ სარდალს მძიმე და რთულ ოპერაციის ღირსეულად შესრულებაში. ქართველი საზოგადოება აღტაცებით ადევნებს თვალ-ყურს გმირულ რაზმის ძლევა-მოსილ მოქმედებას. რამდენადაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მტერთან შეტაკებამ სახელი გაუტეხა საქართველოს ლაშქარს და მწარე გრძნობებით აღავსო ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი, იმდენად უკანასკნელი ოპერაცია ისტორიულად დამსახურებულ სახელს უბრუნებს მამაც ქართველ მხედრობას და აიმედოვნებს მოქალაქეს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ბედი ამიერიდან უზრუნველყოფილი იქნება მეხანიკურ მტრის შემოსევისაგან.

---

# ეროვნული საბჭო

6 აგვისტო

ამ სხდომაზე ორი საინტერესო საკითხი იყო განხილული: ერობის და საჩხერის ოსთა აჯანყების. და ამ საკითხებმა სხდომა მით უფრო საინტერესოდ გახადეს, რომ ურწმუნოთათვისაც კი საფსებით აშკარა გახდა, თუ როგორ სწირავენ სოციალდემოკრატები ერის ინტერესებს, თავის პარტიულ ჟინიანობას. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა გარკვეული წინადადება, რომ ანარქიისა და საერთო უწესოების გამო დროებით გადადებულ იქმნას საერობო არჩევნები.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ისეთი რთული ინსტიტუტის შექმნა, როგორიც არის საერობო თვითმართველობა, ისეთს კრიტიკულ ხანაში, როგორსაც საქართველო განიცდის, ყოვლად შეუძლებელია. თითქოს ეს საკითხი არ უნდა ყოფილიყო სადავო არც ერთი პარტიისათვის, თითქოს საბჭოს ყოველი წევრი გრძნობდა, რომ იქ, სადაც მესამედ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობს ამომრჩევლების მხოლოდ 2 პროცენტი იღებს, იქ ხალხის ნდობით აღჭურვილ წარმომადგენლობაზე ფიქრი სრულებით უსაბუთოა.

მაგრამ ამ საკითხმა მაინც დიდი კამათი გამოიწვია და სოციალ-დემოკრატებმა, ფორმალური მოსაზრებით ესეთი დიდად მნიშვნელოვან საკითხის განხილვაც კი არ სცნეს საჭიროთ.

მათს ფორმალიზმში დაიმარხა ერობების საკითხი.

მეორე საკითხში კი, რომელიც შეეხებოდა გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვას ოსთა აჯანყების შესახებ და რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენი თავისუფლების განმტკიცებისათვის, მენშევიკებმა ისარგებლეს თავის ხმათა უმრავლესობით და არ მისცეს საშუალება უმცირესობას პასუხი მაინც გაეცა მათთვის. წარსულს სხდომაზედ გრიგოლ ვეშაპელმა შეკითხვა შეიტანა საჩხერის ოსთა აჯანყების შესახებ, სადაც ამტკიცებდა მრავალი საბუთებით, რომ მათს აჯანყებას აქვს ეროვნული ხასიათი და მიმართულია ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მენშევიკების „სოციალისტურმა სინიდისმა" ვერ მოითმინა ესეთი ბრალდება და შეუდგა ოსთა მოძრაობაში მარტოდენ სოციალურ ბოლშევიკურ მოტივების ძებნას.

ორი კვირა ელოდა შემკითხველი მთავრობის პასუხს ამ საკითხზედ, როგორც იქმნა ეღირსა მას, მხოლოდ წარსულ სხდომაზედ კამათი შეწყვეტილ იქმნა.

გუშინ ილაპარაკეს ამ საკითხის შესახებ მხოლოდ სამმა ორატორმა სოციალისტურ სკამებიდან და მათ შორის ირაკლი წერეთელმა.

მსმენელი გაოცებით უსმენდა მის სიტყვათა შეუწყვეტელ მდინარებას და ვერ გაეგო თუ რა ალაპარაკებდა ორატორს. მთელი მისი ერთი საათის სიტყვა, ეს იყო დაუსრულებელი ლანძღვა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის და მხოლოდ რ. ინგილოს შენიშვნის შემდეგ, რომ ორატორი საგანზედ გადასულიყო, ირაკლი წერეთელმა რაოდენიმე შეეხო შემკითხველის დებულებათ, მაგრამ ვერც ერთი უარის მყოფელი საბუთი ვერ წამოაყენა. მისი ესეთი მჭევრმეტყველების საიდუმლოება მალე აიხსნა. გაათავა თუ არა მან თავის პამფლეტი ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგ, სოც. დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, რომ კამათი შეწყვეტილიყო, თუმცა ჩაწერილი იყო, მხოლოდ ერთი ორატორი გრიგოლ ვეშაპელი და მით მას საშუალება მოუსპეს პასუხი გაეცა და თავისი დებულებანი დაეცვა. თქმა არ უნდა ადვილია ლაპარაკი, როცა წინ და წინ იცი რომ მოწინააღმდეგეს პასუხის გაცემის საშუალება არ მიეცემა.

ხმათა უმრავლესობა ამის საშუალებას აძლევს მათ.

მაგრამ ნაციონალ-დემოკრატები ეხლა მაინც გაიგებენ, რომ რეგლამენტში არის ერთი დაფარული მუხლი, რომელიც უკანასკნელ სიტყვას მხოლოდ ირაკლი წერეთელს აძლევს.

და მანაც ისარგებლოს ამით.

დ. ჯ—ძე.

---

**6 აგვისტოს სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

### საბჭოს ახალი წევრი.

ეროვნულ საბჭოს სამანდატო კომისიის სახელით შალვა მიქელაძე წინადადებას აძლევს, საბჭოს წევრის თანამდებობაზე აღიარებულ იქმნას ერ. საბჭოს წევრის უფლებებში მემედ-ბეგ აბაშიძე, რომელიც არჩეულ იყო ეროვნულ ყრილობის მიერ სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენლად, მაგრამ ვინაიდგან ოსმალეთის მთავრობის მიერ დაჭერილი იყო ტრაპიზონის ციხეში, საბჭოს სხდომებს არ დასწრებია.

საბჭო უკამათოდ და ერთხმად ადასტურებს კომისიის დადგენილებას.

### საერობო არჩევნების შესახებ

**ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის საკანონმდებლო წინადადება.**

სხდომის წესრიგშია ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის მოხსენება ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ შეტანის შემდგომ საკანონმდებლო წინადადების შესახებ:

1) დაევალოს მთავრობას ანარქიის გამო დროებით საერობო არჩევნების გადადება. 2) დაევალოს თვითმმართველობის კომისიას გადასინჯვა და შესწორება ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებათა, შესახებ საერობო დაწესებულებათა ამიერ-კავკასიაში და სათემო-სამაზრო და საგუბერნიო საერობო ხმოსნების არჩევისა.

ადგილობრივ თვითმმართველობის კომისიამ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და ვერ სცნო შესაძლებლად ამ წინადადების შეწყნარება შემდეგი მოსაზრებებით: „ავტორნი წინადადებისა მოითხოვენ არჩევნების გადადებას ანარქიისა და საერთოდ უწესოების გამო, რადგან ესეთ პირობებში არჩეული ხმოსნები ვერ იქნებიან გამომხატველნი ხალხის სურვილისა, მაგრამ სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მძვინვარებს ანარქია და ხალხი მოკლებულია თვითმოქმედების სარბიელს, სოფელს თავს აწევს მრავალი გასაჭირი, არჩევნები, სადაც კი შესაძლებელია, უნდა მოეწყოს. არჩევნები კიდეც დაიწყო ზოგიერთ ადგილებში და არჩევნების მთავარ ხელმძღვანელის ცნობებით, ამ მიზნისათვის უკვე დაიხარჯა 43 ათასი მანეთი და თუ იგი გადაიდო მომავალ არჩევნებისათვის ეს ხარჯები თუ მეტი არა გაორდება მაინც. რაც შეეხება წინადადების მეორე მუხლს, თვით კომისიას აქვს მიღებული სათანადო ზომები. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საკითხის შესახებ და მოკლე ხანში საბჭოს წინაშე იქნება წარმოდგენილი საერობო დაწესებულებათათვის ახლად გადასინჯული დებულებანი.

### ალ. ასათიანის სიტყვა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, რომელმაც შეიტანა ეს წინადადება, ლაპარაკობს ალ. ასათიანი:

**კომისიის მოხსენება არ არის დასაბუთებული.**

ბატონებო, ეროვნულ საბჭოს წევრნო! ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს და საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის მეტად საჭირო ინსტიტუტს. და ეს წინადადება თქვენგან განსაკუთრებულს ყურადღებას მოითხოვს. თქვენ მოისმინეთ ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის წარმომადგენლის მოხსენება, რომელმაც შეეცადა დაესაბუთებინა კომისიის დადგენილება ჩვენი საკანონმდებლო წინადადების შესახებ. მთავარი საბუთი კომისიისა ის არის, რომ უცილებლად საჭიროა ერობის დაჩქარებით შემოღება. ერობა უპატრონებს სოფელს, მის [illegible]სა და მეურნეობას.

მომხსენებელს მოჰყავს აგრეთვე ფინანსიური ხასიათის საბუთიც. არჩევნები დაიწყეთ და უკვე ორმოცი ათასი დაიხარჯეთ. ახალი არჩევნები ახალს ხარჯებს გამოიწვევსო. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა. წესიერად შექმნილი საერობო თვითმმართველობა რომ შეგვექმნა, იქნებ ეს საშინელი ანარქიაც აგვეშორებინა თავიდან. სოფელი სრულიად უპატრონოა, არ არის ადმინისტრაცია, არავინ ჰპატრონობს გზებს, სკოლებს, სანიტარიათო და სხვა სამეურნეო საქმეებს და ყოველივე ის, რაც რეალურად დაახლოვებულია სოფლის საჭიროებასთან, მივიწყებულია და მიტოვებულია. მაგრამ ეს კიდევ არ არის საბუთი, რომ ჩვენ დღესვე და დაუყოვნებლივ შეგვეძლოს ისეთი ერობის შექმნა, რომელიც ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი და სოფლის პატრონობას შესძლებს.

ასეთი არეული ერობა სოფელს ვერ აშენებს. თუ შემცდარი გზით შევუდექით ერობის შექმნას, ეს არ იქნება ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელსაც ყველა ჩვენ ვეტრფით, რომელიც ააშენებს და უპატრონებს სოფელს. თუ ვხედავთ, რომ არ შეგვწევს ძალა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მის შექმნას, სჯობს რომ დროებით გადავდოთ იმ დრომდე, სანამ ამის-

თვის საჭირო პირობებს შევქმნით. ერობა მეტად მნიშვნელოვანი, რთული ინსტიტუცია და მასთან სრულიად უცნობი ჩვენი ხალხისთვის და მეტი რომ არის საჭირო, რომ მის მტკიცე საფუძველზე ავაშენოთ. საჭირო არის არის სახელმწიფოებრივი ჩონჩხი, რომ ის სხეულით შეიმოსოს. სასოფლო მილიციის ადმინისტრაციის შტატები თქვენ მხოლოთ წარსულ კვირაში დაამტკიცეთ და რომ ჯერ-ჯერობით სოფელი მოკლებულია მთავრობის ორგანოებს აქ, მე მგონია, დავა არ იქნება; მაშ რა გზით და რა საშუალებით გინდათ შემოიღოთ ეს დიდი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია? აქ იტყვიან: არ არის ეს აპარატი, არიან ის ორგანოები, რომელთაც ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებით, დაკისრებული აქვთ ამ რთული რეფორმის ცხოვრებაში გატარება ე. ი. არიან აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ ამ ქამათ ისინი ხომ ფაქტიურათ აღარ არსებობენ, რაც აქ ჩვენ მთავრობისაგანაც გვსმენია. ნურას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად კონიერულია, რომ ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის შექმნა დაეკისროს ცალმხრივად შედგენილ რევოლუციონურ ორგანიზაციებს, რომ ცხოვრებას ჯერ არც კი დაუშავებ ეს ორგანიზაციები.

### ერობის კომიტეტები.

აქ იტყვიან, დაირღვა აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ არსებობენ ორგანიზაციები, რომელნიც შესძლებენ ამ საქმეს. ეს არის საეროზო კომიტეტები, რომელთა მოწყობა აღმასრულებელ კომიტეტებს ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ მთავრობას უეჭველათ ექნება ცნობები თუ როგორ წესიერათ მიდის ამ კომიტეტების საქმეები, როგორ ხშირ საშირათ იშლებოდენ ისინი და ამის მიზეზით ასახელებდნენ ბათუმის, ამბებს, ანარქიას და სხ.

გაგიხსენოთ თუნდაც ის, რომ ქუთაისის საეროზო კომიტეტი, სამჯერ იქმნა დაშლილი და არჩეული, მთავრობას კატეგორიული მოთხოვნილებით. ახლოთვე მეტი ეწვია გორის კომიტეტს, რომელიც ორჯერ დაშალეს და გადარჩიეს რამოდენიმე თვის განმავლობაში.

### ბოიკოტი და ტერორი არა სოციალისტებს

თუ რამდენათ ნაყოფიერი იქნება ამ განაშლეგული კომიტეტების მუშაობა, ამის საბუთათ საკმარისი იქნება გამეცნოთ ის პასუხი, რომელიც გაუგზავნა გორის საეროზო კომიტეტმა გორის ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტს, როდესაც ის შეეკითხა საეროზო კომიტეტს საეროზო მუშაობის შესახებ. საარჩევნო მუშაობა გაგრძელდება ძველის წესით და შემადგენლობით, ხოლო არა სოციალისტურ პარტიების და წარმომადგენელთა გამოკლებით. როგორც ხედავთ გორის კომიტეტმა შესაძლებლათ სცნო თავის ნებით გამოეცვალა მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია. ეს კომიტეტები სრულიად ვერ უზრუნველყოფენ საეროზო არჩევნების წესიერად და მშვიდობიანად მიმდინარეობას ყველაზე უფრო დაწყნარებულ რაიონებშიაც კი. სურამში სიკვდილით ემუქრებოდნენ და შემდეგში დაიჭირეს ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის წევრი და მოითხოვეს მისი დაპატიმრება საეროზო არჩევნების დასრულებამდე. ყოველივე ეს კარგად უწყის სურის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. ასეთ მყუდრო რაიონებშიაც შეიქმნა ისეთი სულიერი ატმოსფერო, როდესაც ამ საეროზო და უპარტიო თვითმართველობის არჩევნებში ადგილი აქვს მუქარას, დაპატიმრებას და მოკვლის განზრახვასაც კი.

**ხმები ადგილიდან.** დაასახელეთ ვინ?

**ალ. ახათიანი.** პოროჩიკის დევით წიგნაძის. ამის შესახებ მასალები წარდგენილი იქნება სადაც ჯერ არს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დეტალია იმ წესის, როგორითაც დღეს სწარმოებს საეროზო არჩევნები.

### აბსენტეიზმი

ბატონებო! დღეს მოწყობილიც რომ იყოს ის აპარატი, რომელსაც შეეძლება ამ არჩევნების წესიერათ წარმოება. ხომ საჭიროა ის სულიერი საწყნარე, რომელიც შეაძლებინებს მოქალაქეთ დაინტერესდნენ ამ მათთვის ჯერ უცნობი ინსტიტუტით. ხოლო დღეს, როდესაც მთელი საქართველო ანარქიით არის მოცული, როდესაც მან გადაიტანა მრავალი მცნება და როდესაც ხდება მძლავრი გადატეხა ხალხის სულიერს ცხოვრებაში. განა შესაძლებელია ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება? თქვენ გაგებული გექნებათ, რომ ჩვენს ხალხს არავითარი ინტერესი არა აქვს მისი და უკვე წარმოშობილ ინტერესებს უდიდესი აბსენტეიზმი ემჩნევა. არჩევნები იელისში გადაიდვა „ტექნიკური მიზეზების გამო“. ზუგდიდის რაიონში პირველს არაგინ დაესწრო, მეორეს რამოდენიმე პირი და მესამეზე დანიშნულს, ამომრჩეველთა მხოლოდ 7 პროცენტი. განა ესეთი ერობა ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი? არჩევნების მოწყობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა ჩააქრობს ანარქიას. მომხსენებელმა სთქვა, რომ თუმცა ერობა ჯერ საქართველოში არ ყოფილა შემოღებული, მაგრამ ხალხმა ის იცნობს; არავითარ ეჭვი არ არის, ის ახლო ხალხთან არის, მაგრამ ეს ინსტიტუტი იმდენათ რთულია რომ ხალხს იგი წინდაწინ უნდა გავაცნოთ. როდესაც ამომრჩეველთათვის წესით იქნება სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, აუცილებლად საჭიროა რომ ხალხს ჰქონდეს ერთგვარი ელემენტარული შეგნებული დამოკიდებულება საქმისადმი. სამწუხაროდ ერობა ჩვენ არ შემოვიღეთ მაშინ, როდესაც ეს სავსებით შესაძლო იყო—რევოლუციის პირველ თვეებში. უკანასკნელ დრომდე კიდევ იყო ამის საშვალება, მაგრამ ახლა ჩვენ სულ სხვა სარევოლუციო ორგანიზაციებს ვაწყობდით და საეროზო საქმისათვის ვერ მოვიცალეთ.

### საეროზო დებულებანი უნდა გადასინჯულ იქნეს

მაგრამ კიდეც რომ გვქონდეს ადმინისტრაცია, წესრიგი და ხალხის ინტერესი, არის ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მიექცეს აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს ყურადღება. შეუძლებელია საქართველოში ერობა შემოვიღოთ თანახმად იმ დებულებისა ნაკაზისა და ინსტრუქციისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა და სრულებით არ შეეფერება ჩვენს პირობებს. საეროზო თვითმართველობის მიზნებსა და დანიშნულებას, ეს დებულებანი უნდა გადასინჯულ იქნას ეროვნულ საბჭოს მიერ. ბევრი მუხლებია ისეთი, რომელთაც სიბეჯით მიიღებს, მაგრამ მრავალი სრულებით მიუღებელია. მე არ შევეხები არსებითად ამ დებულებებს, ხოლო მივაქცევ თქვენს ყურადღებას ორიოდე მომენტს.

### არა ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობა.

კომისარიატის საეროზო კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს ყველას, ვინც არჩევნების დროს იმ რაიონში იმყოფება; როგორ ჰგონიათ ამ ზაფხულზე სურამის კურორტის ლ ბებმა რომ საეროზო თვითმართველობა შექმნან, აღჭურვილი იქმნენ თუ არა ის სათანადო ავტორიტეტით და ნდობით ადგილობრივ მცხოვრებთა თვალში შემოდგომაზე თუ ზამთარში, როდესაც ერობის ამომრჩევლები უკვე იქ არ იქნებიან? და ასეთმა ერობამ უნდა უპატრონოს ადგილობრივ სამეურნეო საქმეებს?

### პარტიული სიები

არჩევნები საეროზო დაწესებულებებში ხდება პარტიული, ჯგუფური სიებით და ამ რიგათ ადგილობრივი მცხოვრები იძულებულია ხმა მისცეს, არა იმ პიროვნებას, ვინც მისი აზრით უფრო გამოსადეგია საქმისთვის, არამედ რომელიმე პარტიულ წარმომადგენელს.

**ხმები სოც.-დემოკ. ადგილებიდან:** ვინ უშლის.

**ალ. ახათიანი.** ხელს უშლის ის გარემოება, რომ მას არ შეუძლია თავისი ხმა მისცეს რამოდენიმე სხვა და სხვა რწმენის კაცს, არამედ ერთ რომელიმე სიას. საკანონმდებლო, ფორთე პოლიტიკურს არჩევნებისათვისაც მიუღებელია წესი. განსაკუთრებით შეუწყნარებელია საეროზო საქმისათვის, სადაც ხალხი ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიას კი არ უნდა აძლევდეს ხმას, არამედ უნდა ირჩევდეს ისეთს პირებს, რომელნიც კარგად უპატრონებენ მის ადგილობრივ საქმეებს. მას უნდა ჰქონდეს საშვალება ხმა მისცეს არა მარტო სოციალ-დემოკრატიულ, ან ეროვნულ-დემოკრატიულ სიებს, არამედ სხვა სიებში აღნიშნულ პირებსაც, ანუ სრულიად უპარტიო პირებს. თუ ისინი საქმისთვის გამოსადეგად მიაჩნია.

### ჯარის მონაწილეობა

არ შემიძლიან თქვენი ყურადღება არ მივაქციო აგრეთვე იმ გარემოებას, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის საეროზო კანონისა, სამხედრო პირები და ჯარები მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში საერთო წესით.

მე არ ვფიქრობ, რომ ამ ქამად ასეთს აზრს აქ ვინმე იზიარებდეს. ჯარის ჩარევა პოლიტიკურს დავასა და არჩევნებში, ყოვლად შეუწყნარებელია, და საეროზო დებულება გადასინჯული უნდა იყოს თუნდაც მხოლოდ ამ ნაკლისათვის.

### ერობის სახელს გაუტეხთ.

უდავოა, რომ ერობა დიდათ საჭიროა ცხლადვე. აქ აღნიშნეს ისიც, რომ ამ არჩევნებისათვის ბლომად ფული დაიხარჯა. მაგრამ თუ ჩვენ ამ ქამად არ შეგვიძლიან ისეთი ერობის შემოღება, რომელიც მართლაც ვერ შესძლებს დასახული მიზნების სამსახურს და პატრონობას ვერ გაუწევს სოფელს, უნდა ვეცადოთ ისეთი ორგანიზაციების შექმნას, რომელიც ასეთს მიზნებს ვერ მიაღწევენ და ჩვენ რომ ისინი ერობის სახელით მოვნათლოთ მხოლოდ სახელს გაუტეხთ ერობას. თუ დღეს არ შეგვიძლიან წესიერი ცხოვრების აშენება, უნდა მოვერიდოთ ამ ინსტიტუტის სახელის გატეხას ხალხის თვალში, რომ გვისად მაინც შევძლოთ ნამდვილი ერობის შექმნა.

მარტო ის კი არ არის საყურადღებო მისადები, რომ გაწეული ხარჯები და შრომა დაიკარგება, არამედ ისიც, რომ ეს ხარჯები არ დაიკარგოს და ამასთანავე კიდევ უფრო არ შევაფერხოთ და დავაზიანოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, სავსებით ადასტურებს თავის საკანონმდებლო წინადადებას და აღნიშნავს რა, რომ კომისიას პრინციპიალურად საწინააღმდეგო არაფერი წარმოუდგენია, საჭიროთ სცნობს მის მიღებას.

### სოციალისტ-რევოლუც. აზრი.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით ლაპარაკობს **ივ. გობეჩია.** ორატორის აზრით სწორედ მისთვის, რომ საქართველო ანარქიით არის მოცული, საეროზო არჩევნები უნდა გაგრძელდეს. რადგან იგი იქნება საუკეთესო საშვალება ანარქიასთან საბრძოლველად.

ერობის სრულებით წინააღმდეგ ტოპს ითხოვენ. ესენი დღეს პარტიული სიების წინააღმდეგაც ილაშქრებენ, მაგრამ ესეთი პრეცედენტი ჯერ დემოკრატიული სახელმწიფოები არ ყოფილა.

**რ. არსენიძე (ს. დ.)** ეროვნულ-დემოკრატებს შემოიტანიათ საკანონმდებლო წინადადება, სადაც არავითარი საკანონმდებლო ელემენტი არ არის, არამედ მხოლოდ აღმასრულებელი და ამისთვის ორატორი შეუძლებლათ სცნობს საკითხს არსებითად შეეხოს.

**რადიკალ-დემოკრატი დ. ჩიქოვანი.** არჩევნების გადადება ნორმალურ პირობებში მოიტება იქნებოდა, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში და ისეთში, როგორსაც დღეს საქართველო განიცდის დღეს აუცილებელია.

(დასასრული იქნება)

# ქრონიკა

## თბილისი.

**მძარცველების შეტყრობა.** შეიპყრეს მძარცველები, რომელთაც 4 აგვისტოს ნატანებსა და ოზურგეთს შუა გაძარცვეს საფოსტო ავტომობილი, წაიღეს 250,000 მან. და მოჰკლეს მილიციონერი და ორი მგზავრი. მათ ზედ აღმო ჩნდათ ფული. შეპყრობის დროს ორი მძარცველი მოჰკლეს.

**ბაქო.** თბილისის რადიო-სტანცია იტყობინება, რომ სხვადასხვა დროს გაზეთებში დაბეჭდილი ყველა ცნობები ბაქოს ოსმალეთის ჯარისგან აღების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება და აქამდის არც ერთს ოსმალეთის ჯარისკაცს ქ. ბაქოს საზღვარში ფეხი არ დაუდგამს. კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიც ბაქო ამ თვის პირველ რიცხვებში იყო, გამოსწორებულია. ბაქოს ჯარებმა მოწინააღმდეგის იერიშები უკუაგდეს. ბაქოს მდგომარეობა ამ ქამათ განმტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

**სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალური შემადგენლობა.** ერევნიდან მოსული ცნობებით პარლამენტში შედიან: დაშნაკცუტუნის პარტიიდან 18 კაცი, სოც.-დემოკრ. (მენშევიკები) 6 კაცი, სოც.-რევოლ. 6 კაცი, ხალხის თავისუფლების პარტიიდან 6 კაცი, და უპარტიოდან 3 კაცი. პირველ რიგში პარლამენტი განიხილავს დაწესებული კრების მოწვევის საკითხს.

**დანიშვნა.** თბილისის მაზრის კომისრის თანაშემწეობაზე ბ. პაპავა... ლაქაძე დაინიშნა.

ციურიხიდან იტყობინებიან, რომ რუსეთისა და ინგლისის დამოკიდებულებას იქამდის გამწვავებულად სთვლიან, რომ მათი მდგომარეობა შეიძლება მეომარ სახელმწიფოთა განწყობილებათ ჩაითვალოს.

**გაზ. „პრავდა“** მოწინავე წერილში აშკარად სცნობს, რომ რუსეთის რესპუბლიკა ბოლოს და ბოლოს შეიძლება იძულებული გახდეს გერმანიის კავშირში ომი დაიწყოს თავისი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ.

რუსეთის საბჭოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი თავის უკანასკნელ ბრძანებაში ფრანგებს და ინგლისელებს ჩეხო სლოვაკებთან ერთად რუსეთის მტრებს უწოდებს.

**დამწვარი პური.** სიღნაღიდან მიღებული ცნობებით იქ 29 ივლისს დამე ალაზნის იქით სოფელ თელავში გამოურკვეველი მიზეზებით დაიწვა შეგროვილი ერთ ადგილას საზოგადო 40.000 ფუთი პური გამოძიება სწარმოებს.

**ანდრანიკი.** როგორც ერევნიდან მოსულები ამბობენ ანდრანიკი ისევ ძალდატანებით ნახიჩევანში სდგას და არავითარი დამოკიდებულება ერევნის მთავრობასთან არა აქვს. ანდრანიკს თავის განკარგულებაში ჰყავს 7.000 კაცი და დამოუკიდებლად იცავს ნახიჩევანის რაიონს.

**შაუმიანის გაქცევა.** ქიურდამირიდან მოსული ცნობებით შაუმიანმა მოასწრო გაქცევა ბაქოდან დერბენტში. დერბენტი ბოლშევიკების ხელშია.

**ვასილ ბარნოვს** დაუმთავრებია ისტორიული რომანი ამონი დიდის ცხოვრებიდან (✝8266) „ტრფობა წამებული“. კარგი იქნება, თუ ამ ნაწარმოებს ვინმე შეიძენს ცალკე გამოსაცემად.

**ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში** საჭიროა შემდეგი საგნების მასწავლებლები: რუსულის, ლათინურის, ისტორიის, გეოგრაფიის და ბუნების მეტყველების. ჯამაგირი მასწავლებელთათვის ჩვეულებრივია. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სახალხო განათლების მინისტრს.

**კვირას, 4 აგვისტოს,** ახალ კლუბის დარბაზში ... შალიბაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ქართველ იურისტთა კრება. გადაწყვიტა დაარსდეს ქართული იურიდიული საზოგადოება და მის წესდების შესამუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია შემდეგ პირებით: ი. ბარათაშვილი, ი. ზურაბიშვილი, მ. სარაჯიშვილი, გ. ქურდიანი, გ შალიბაშვილი, ი. ლასხიშვილი და ა. აბაშიძე. 6 აგვისტოს კომისია უკვე შეუდგა ხსენებულ საზოგადოების წესდების შემუშავებას.

## პარტიული ცხოვრება

**ეროვნ.-დემ. ხმოსნები.** თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა გიორგი ქურდიანმა თავის განცხადებაში უარი განაცხადა ხმოსნობაზე პარტიიდან გამოსვლის გამო. ორგი ქურდიანის და ს. პ. რიდვან კვლივაშ... უარი სთქვეს ხმოსნობაზე რადგან პარტიის დადგენილებით სახელდარ-გარედ არიან. მათ ადგილს ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის დადგენილებით არჩეული არიან პართენ გოთუა (საკრედიტო ბანკის დირექტორი), ნიკოლოზ წერეთელი და ვასილ ბერულაშვილი (წევრი თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობისა).

**პარასკევს, 9 აგვისტოს,** საღამოს 7 ს. (ახალი დროით), სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე 2 რაიონის წევრთა საზოგადო კრება. ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ერობის შესახებ. დასწრება შეუძლიათ პარტიის თანამგრძნობლებსაც.

**ქართულ-გერმანულ კომიტეტის სხდომა.** დღეს, ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, შესდგება ქართულ და გერმანულ კომიტეტის სხდომა. წევრებს ვთხოვთ, უსათუოთ დაესწრონ, გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

# ბრძოლა ბოლშევიკებთან

გენ. წაწნიაშვილი სუხუმიდან დეპეშით აცნობებს სამხედრო მინისტრს: ჩვენ დავასწარით ბოლშევიკების შემოტევას, რომელნიც შეჯგუფებული იყვნენ სად. ბელორეჩენსკაიდან და გადავედით შეტევაზე 4 აგვისტოს 18 საათზე, გავფანტეთ მოწინააღმდეგის მოწინავე რაზმები, რომელნიც გამაგრებულნი იყვნენ ტუაფსედან 6 ვერსზე და განვაგრძეთ შეტევა. ჩვენი ჯარები შეხვდა მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს, რომელნიც შედგებოდნენ მიხაილოვსკისა და მაიკოპის პოლკებისაგან რიცხვით ოთხი-ათას კაცამდე. ამ ჯარს უფროსობდა ანტონოვი და ჰქონდა 3 ზარბაზანი, ჯავშნიანი მატარებელი „თავისუფლებისთვის მებრძოლი № 2“ და დიდძალი ტყვიის მფრქვევლები. ბრძოლაში ჩვენებით სოფ. გრეჩესკიდან 4 ვერსზე.

6 საათის ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ანტონოვის რაზმი დავამარცხეთ და გავფანტეთ. მოკლული და დაჭრილი ბოლშევიკები ასობით ითვლებიან. ჯავშნიანი მატარებელი დაიმსხვრა, ორთქლმავალი დაიწვა და მთელი შემადგენლობა ჩვენ ვიგდეთ ხელში. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 2 ზარბაზანი, 30 ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი ტყვიისმფრქვეველის პატრონები, ყუმბარები და ვინტოვკები. ნადავლად დაგვრჩა სამხედრო ურმები გამზადებული საჭმლებით, ვაგონები სტეხნიკო მასალებით, ფქვილი, დიდი ყუთები კონსერვებით, სატელეფონო ქონება, ცხენის ფარა და 4 მატარებლის შემადგენლობა. დამარცხებულ მოწინააღმდეგეს ბრძოლით ვდევნიდით და 4 აგვისტოს 20 საათზე დავიჭირეთ სად. კრივენკოვსკაია, წინ წავიწიეთ კიდევ 5 ვერსით და ჯერ-ჯერობით აქ გავჩერდით. დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არიერგარდის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ჩვენი მხრიდან მოკლულია 7 და დაჭრილია 15 კაცი.

# განკარგულება ხალიჩის ფაშის საპატივცემოდ

მართამობისთვის ნ-ს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ თბილისში ჩამოსულ ოსმალეთის ფაშას ხალილ ფაშას ბანკეტი გაუმართა.

ბანკეტს დაესწრნენ გერმანელთა, ავსტრო-უნგრეთის, სპარსეთის, შვეციის, აზერბაიჯანის და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. ბანკეტზე სამხედრო მინისტრმა შემდეგი სიტყვით მიმართა ხალილ ფაშას:

„თქვენო აღმატებულებავ და ბატონებო! ქართველი ხალხი მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მუდამ ჯიუტად აფასებდა გმირულ მხედრობას. ამიტომ არის ყველასათვის ცხადი, ჰყავს რა დიდ ძალას წარმოადგენს ოსმალეთის ჯარი და მისი დიდებული მეთაურები. დამოუკიდებელ საქართველოს დაშქრის სახელით სიამით ვუძღვნი ოსმალეთის მხედრობის ცნობილ წარმომადგენელს და ვესალმები ოსმალეთის ჯარს თავის დიდებულ მეთაურებთან ერთად

ომის ველზე წარმატებას. საქართველოს ხალხს 120 წლის მონობის შემდეგ ახლა მიეცა საშუალება დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას შეუდგეს. როგორც ძველად, ისე ახლაც საქართველო სულით და გულით მოწადინებულია მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ იმპერიასთან და კავკასიის ყველა ერებთან. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელები ჩვენთან ერთად იზიარებენ ამ ჩვენ მიერ მტკიცედ შეთვისებულ აზრს. ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, დავლიოთ ოსმალეთის ჯარის სადღეგრძელო! ნება მიბოძეთ დავლიოთ საქართველოს და ოსმალეთის მეგობრობის განსამტკიცებლად!"

ხალილ-ფაშამ უპასუხა სამხედრო მინისტრს და შემდეგი სთქვა: „მივესალმები საქართველოს წარმატებას! გარწმუნებთ, რომ ჩემი მთავრობა გულწრფელად მოწადინებულია მეგობრული განწყობილება ჰქონდეს საქართველოსთან და ყოველივე შეთანხმება ჩვენს შორის მეგობრული შეთანხმებით დაგვირგვინოს(?). ამასთანავე გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყოველი საშუალებით ჩვენ მოკავშირეებთან ერთად ვიბრძოლებთ საერთო მტრების წინააღმდეგ და უზრუნველვყოფთ საქართველოს დამოუკიდებლობას“.

# უცხოეთის ამბები

**ანტისემიტიზმი ფინლიანდიაში.** ფინლიანდიის ებრაელები მიმართავენ მთელ განათლებულ ევროპას დახმარებისათვის იმის გამო რომ სენატს განზრახვა აქვს მიიღოს სეიმის დადგენილება, რომ მხოლოდ ის ებრაელები სარგებლობდნენ თანასწორი უფლებებით, რომელნიც იბრძოდნენ თეთრ გვარდიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ფინლიანდიის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ებრაელები ვალდებულნი არიან 30 ოქტომბრამდე დასტოვონ ფინლიანდია. ბრძანების სისრულეში მოსაყვანად აკრძალულია აგრეთვე ებრაელებისათვის სურსათის მოწოდება.

**მოკავშირეები რუსეთში.** მურმანში ამ ჟამად იმყოფება ინგლის-საფრანგეთის ჯარი რიცხვით 30.000. ინგლისელები მცხოვრებლებს მოტანილ სურსათს აწვდიან.

**ციმბირის რესპუბლიკა.** მოსული ცნობებით ციმბირის მთავრობამ გამოაცხადა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. რესპუბლიკის მთავრობა უარს ჰყოფს ბრესტის ხელშეკრულებას და მოკავშირეებთან შეთანხმებით ანახლებს ომს და თავის თავზე იღებს რუსეთში წესიერების დამყარებას.

**მართლწერის რეფორმა დონზე.** დონის ატამანმა ბრძანება გასცა რომ ყველა დაწესებულებებში და სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას ძველი მართლწერა იმ სახით, როგორიც არსებობდა დროებითი მთავრობის რეფორმებამდის. განზრახ დამახინჯება პუშკინის, ტოლსტოის, ტურგენევისა და ჩეხოვის ენისა ატამანს მიაჩნია რუსეთის დიდი მწერლების შეურაცყოფად.

**სპარსეთი.** როგორც სტამბოლიდან ატყობინებენ სპარსეთში შესდგა ახალი კაბინეტი კონსერვატორ-მემალიკეს(?) თავმჯდომარეობით. შინაგან საქმეთა მინისტრადაა სამსონ-ეს-სალტანე.

**მონარქისტები.** 21 ივლისს ნოვოჩერკასკში შესდგა რუსეთის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა ყრილობა როდზიანკოს თავმჯდომარეობით. ყრილობაზე განაცხადეს რომ რუსეთის ხსნა და ძველი საზღვრების აღდგენა მხოლოდ მონარქიის საშუალებით შეიძლება.

„პოსლედნია ნოვოსტი“ იტყობინება, რომ ამ დღეებში კიევში შესდგა მონარქისტების ყრილობა. მონარქისტები მოვიდნენ პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან.

**კიევი.** ხმებია, რომ შრომის სამინისტრო პროექტს ადგენს ცენტრალური რადის მიერ რვა საათის სამუშაოს შემოღების კანონის გასაუქმებლად.

**დროებითი მთავრობის შედგენა.** მოსკოვში ხმები გავრცელდა, რომ შესდგება ახალი მთავრობა კერენსკის მეთაურობით. პარიზში სულ მალე შევლენ(?) დროებითი მთავრობის ყოფილი წევრნი ნიკიტინი, ტერეშჩენკო, ეფრემოვი და აგრეთვე ეხლანდელი(?) იმავე მთავრობისა სტახოვიჩი, მაკლაკოვი და ნაბოკოვი.

# ომი

## დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

**ბერლინი.** 6 აგვისტო. კრონპრინცის ლაშქარი. ჩვენი ნაწილები შეიჭრნენ ინგლისის ხაზებში პრიინკონვის (?) გზის ორთავე მხრით და წამოიყვანეს ტყვედ დაახლოვებით 100 კაცი. მთელი რიგი უშედეგო იერიშების შემდეგ მოწინააღმდეგე დიდი ძალებით ხელ-ახლა გადავიდა შეტევაზე სამხრეთის ჩრდილოეთით ვესლის სექტორის წინააღმდეგ. ტყის ნაწილებიდან, სადაც მოწინააღმდეგემ შესძლო შეჭრა, ჩვენი კონტრ-იერიშებით ისევ უკან გავრეკეთ. ამავე დროს ტყვედ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი კაცი. დანარჩენ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს იერიშებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და მარცხდებოდნენ ჩვენი არტილერიის და ქვეითი ჯარის ცეცხლით.

**ვენა.** 6 აგვისტო. ახალი არაფერია.

# ცუგმაიერთან

„თბილისის ლისტოკის“ თანამშრომელს ბაისისდორფის(?) შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორია ამჟამინდელი მდგომარეობა დასავლეთ ფრონტზე და შეიძლება მოველოდეთ ვიქონიოთ შემოდგომაზე ომის გათავებისა, ცუგმაიერმა უპასუხა:

ფრანგები და მისი მოკავშირენი ამჟამად შეტევაზე გადავიდნენ. მათ ბრძოლაში წაიყვანეს მთელი თავისი ძალები, მიიშველიეს დიდი რეზერვები და დამხმარე ნაწილები, რომელნიც შესდგებიან კოლონიებში მოკრებილი შავკანიანების, სამოლუცების(?), ალჟირების, ტუნისების, მაროკოელების, ინდო-კიტაელების, ინდუსების და სხვა ყოველნაირი ფერის ტომებისგან, ერთი სიტყვით ბრძოლაში გამოყვანილია ძალიან დიდი ცოცხალი ძალა და იყენებენ თანამედროვე სახელდობრ ტექნიკის ყველა გაუმჯობესებას და მძლავრ არტილერიას.

გასაკვირველი არ არის თუ რომ ფრანგის ზოგიერთ ნაწილებში მოწინააღმდეგეს გამარჯვება ხვდა და დაიბრუნეს ნაწილი მათი დაკარგული ტერიტორიისა. მაგრამ ამ გამარჯვებას ვერ გამოისყიდის ის დანაკლისი, რომელიც მოსდით მათ ხალხით, იარაღით და ქონებით, რადგან მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გერმანიის საგრძნობლად დამარცხებისას, ასინ ფრანგების უმაღლესმა სარდლობამ მიზნად დაისახა ომის მეხუთე წლის დასაწყისში ასეთი საშუალებით აღფრთოვანება გამოიწვიოს საფრანგეთის ხალხში. რაც შეეხება ომის შემოდგომაზე გათავებას, ცუგმაიერმა სთქვა, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლების გეგმები და განზრახვები ჩემთვის უცნობია და შიგნეული საიდუმლოებას, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ჯერ ისევ ზამთრობამდის საფრანგეთის ლაშქარს გადამწყვეტი ბრძოლით შეუტევონ და იმედია საფრანგეთს ვაიძულებთ მშვიდობიანობა ეძიოს. ამავე დროს გერმანიის მმართველი სფეროები ანგარიშს უწევენ ინგლისთან და ამერიკასთან ომის გაგრძელების შესაძლებლობას 1919 წელში, რადგან ეს სახელმწიფოები მაინც განაგრძობენ ომს იმ შემთხვევაშიაც, თუ საფრანგეთი კაპიტულაციას გამოაცხადებს. გერმანიის ხალხი გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, თავდადებით იცავს მის ინტერესებს და მზად არის გადამწყვეტი ხანგრძლივი ომისთვის ინგლის-ამერიკასთან. მას სწამს, რომ გერმანია და მისი მოკავშირენი თავისი თავისუფალი არსებობისა და კულტურისათვის ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვლენ.

შეთანხმების სახელმწიფოთა ანგარიში, რომ გერმანია სიმშილით დამარცხდება, აქამდის არ გამართლდა. ხანგრძლივი ბრძოლისათვის გერმანიას და ავსტრო-ვენგრიას უკვე თავდარიგი აქვთ დაჭერილი. არ აკლიათ მასალა ჯარისათვის, და ასეთივე ნივთიერებათა დასამზადებლად: ნავთი, ზეთი, ნახშირი, ფოლადი და სხვა ყველაფერი საკმარისია. სულ ტყუილია ამ მხრივ მოწინააღმდეგე პრესის გავრცელებული საწინააღმდეგო ცნობები. საჭიროდ ვცნობ ვსთქვა, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ის ხმები, ვითომც ზოგიერთს გერმანიის ქალაქებში უწესოება ხდებოდეს და უფრო ტყუილი და ტენდენციურია ის ხმები, ვითომც რევოლუციონური პროპაგანდა ნიადაგს პოულობდეს. შეგნებული, შრომის მოყვარე და მამულიშვილი გერმანიის ხალხი არ გადაუხვევს ისტორიულად არჩეულ გზას, რომელსაც მიჰყავს იგი გამარჯვებისა და ძლიერებისაკენ.

# მოკავშირეთა კონფერენციის გადადება

პეტროგრადის დიპლომატიურ წრეებში მიღებული ცნობებით ამ თვის ბოლოში განზრახული კონფერენცია მოკავშირეებისა, რომელიც უნდა შემდგარიყო ვაშინგტონში, რამოდენიმე ხნით გადადეს. კონფერენციის გადადების მიზეზია შეერთებულ შტატებსა და იაპონიის შორის დამოკიდებულების მოულოდნელი გამწვავება. იაპონიის პრესამ აურზაური ასტეხა იმის გამო, რომ ამერიკამ ახლად გადასცა ფული დასავლეთის საპაროვნების(?) გასამაგრებლად. შეერთებული შტატების და იაპონიის დამოკიდებულების ნამდვილი მაჩვენებელია აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარის ლანსინგის განცხადება:—პრეზიდენტ ვილსონმა სთქვა, რომ ახლანდელი ომი გაგრძელდება იმ დრომდის, სანამ ქვეყანაზე არ გამეფდება ინგლის-საქსონის იდეალი, რომელსაც ევროპა და ამერიკა უნდა მმართველობდნენ ინგლის-საქსონიის შეხედულების თანახმად. როდესაც ორთავე ქვეყნის ხალხი მთლად გაჩისტვალება ამ იდეალით, მაშინ აუცილებლად იფეთქებს ყველაზე უდიდესი და იმავე დროს უკანასკნელი ბრძოლა თეთრსა და ყვითელ რასის შორის. ამერიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეს ბრძოლა შორს არ არის, მაგრამ ამისთვის გერმანია იმდენად უნდა დასუსტდეს, რომ მან ვერ შესძლოს იაპონიის დახმარება. ამერიკის საგარეო საქმეთა დეპარტამენტს სარწმუნო ცნობები აქვს, რომ გერმანიასა და იაპონიის შორის უკვე გაბმულია ზოგიერთი ძაფები მომავალში შეთანხმებლად.

# კიდევ საჩხერის აჯანყებაზე

პრესაში და საზოგადოებაში დიდ კამათს იწვევს საჩხერის ამბები. ბოლო დროს ეს კამათი გადატანილ იქმნა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. საჩხერის ამბებმა ეროვნულ საბჭოში მდგომარეობა უფრო გაართულა და დაძაბა როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დემაგოგობით.

როგორც საჩხერელი და მოწმე საჩხერის ამბებისა, ვალად ვსთვლი ჩემს თავს ცოტაოდენი სიმართლე მაინც მოვფინო პრესის საშუალებით იმ შავბნელ ისტორიას, რომელსაც ნამდვილად ოსების გამოლაშქრება ჰქვიან საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ.

დიდი ცოდვა იქნებოდა რომ დამშვიდებულ კილოთი რაინდულად და სოციალისტურად გვეცხადებინა:— საჩხერის ამბები ეს ჩვეულებრივი „ბოლშევიკური“ გამოსვლააო. ამის წინააღმდეგ თვით ფაქტები ლაპარაკობენ:

პირველად საჩხერეში ოსების გამოლაშქრებას ადგილი ჰქონდა ეგრედ წოდებულ „ცხინვალობის“ დროს, როდესაც ოსეთის აჯანყების მეთაურები(?) გახდნენ გიორგი მაჩაბელი, სანდრო კაცხოველი და სხ. როგორც კი მოხდა ლიკვიდაცია ცხინვალის აჯანყებისა, თებერვალში საჩხერეშიაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ყოველივე „უბედურობის“ თავიდან ასაშორებლად ოსებმა საგანგებო დელეგაცია გამოგზავნეს საჩხერის კომისარიატში და განაცხადეს, ოსების მხრივ საჩხერეს საფრთხე არ მოელისო. ცხინვალის აჯანყება, რომ ოსური-ნაციონალური მოძრაობა იყო, ამას თავის დროზე არ უარყოფდნენ ის პუბლიცისტები, რომელნიც სოციალ-დემოკრატიულ ოფიციოზ „ერთობაში“ მოკალათებულან.

შემდეგ ამისა მართლაც ყველაფერი დაწყნარდა. საჩხერლებს და ოსებს შუა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ ჰაერი მოწამლული იყო და ყველა გრძნობდა რომ ოსები უნდა ამხედრებულიყვნენ საქართველოს წინააღმდეგ.

ივნისის შუა რიცხვების აჯანყება დუშეთის მაზრაში და ცხინვალის რაიონში ხომ წმინდა ნაციონალისტური იყო. მეთაურები ამ მოძრაობისა ხომ მარტო ოსები, რუსები და სომხებია. ეს ხომ მრავალჯერ იყო აღნიშნული სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში. ამ აჯანყების გამოძახილი იყო ოსების იერიში საჩხერეზე ივნისის 28-ს. მარტო ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ საჩხერეზე გამოლაშქრება ოსების მხრივ იყო მხოლოდ ნაციონალისტური. ამტკიცებენ, რომ საჩხერის ამბები, ეს დღევანდელი ავანტიურისტული ბოლშევიზმის ნაყოფიაო. მაგრამ თუ სამეგრელოში ჩინჩა(?) თავი ბოლშევიკურმა მოძრაობამ ეს იმის ბრალი არის, რომ ამ მოძრაობას ცნობილი ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა.

რაჭა-ლეჩხუმის მოძრაობაც ადვილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ ხანებში იქ შამიან(?) აგიტაციას ეწეოდა ცნობილი სამა(?) გეგეჭკორი, რომელიც ნიადაგს პოულობდა რაჭა-ლეჩხუმელებში და სარგებლობდა იმ უკმაყოფილებით, რომელიც გამოიწვია არა ნაკლებ ცნობილ ქარუხაშვილის ბრძანებამ, რომლითაც ლეჩხუმის მაზრა კანონს გარეშე იქმნა გამოცხადებული.

ამ რიგად საქართველოს ამა თუ იმ ნაწილში ასე თუ ისე იყო და მზადდებოდა ნიადაგი ბოლშევიკურ აჯანყებისათვის, საჩხერე ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენდა. არც პირველს და არც მეორე გარემოებას საჩხერეში ადგილი არ ჰქონია.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დიდი რევოლუციის დაწყებიდან ვიდრე აჯანყებამდე საჩხერის რაიონში არც ერთი აგიტატორ-ბოლშევიკს არ გაუჭაჭანია.

ოსთა მოძრაობას საჩხერის რაიონში ყველაზე მეტს თანაუგრძნობდა [illegible], და შემდეგ კი [illegible] გაცხადდეს, ოსებმა დელეგაცია გამოგზავნეს და შეუთვალეს(?) თუ ოსებს არ შეუერთდებით სულ ერთიანად მოგსპობთო. საზოგადოდ ბოლშევიკური მოძრაობის დროს ანადგურებდნენ ბაზარს და ხოცავდნენ თავად-აზნაურობას.

საჩხერეში კი არც ერთი თავადი არ ყოფილა მოკლული ოსების მიერ. მოჰკლეს (ბოლოს) წერეთლის ერთი მსახური (მგონი ფრიდონის) ოსი. აღამთ(?) ამ ოსის მოსამსახურეობაში თავმოყვარე ოსებმა თავიანთი ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფა დაინახეს.

ამტკიცებენ, რომ საჩხერის რაიონში პირველად ქართველებმა გამოილაშქრეს და შემდეგ კი ოსები მათ მიეშველნენო. ეს ცნობა მთლად სიყალბეა. აჯანყების პირველ დღეს, ივნისის 28 პირველად საჩხერეში ოსები შეიჭრნენ, მათი რიცხვი ორი ათასზე მეტი იყო. მათ დაიჭირეს ყველა სტრატეგიული პუნქტები: ფოსტა-ტელეგრაფი, ციხე „მოდინა-ხე“, სადგური, რკინის გზის ლიანდაგი და საჩხერის ხიდი. ადგილობრივი სოფლები კი ხიდის გაღმა იდგნენ და „ყოველ შემთხვევისათვის“ მზად იყვნენ. ოსებმა მათ აზვერთებიც(?) კი მიუჩინეს.

მაგრამ რამდენი ფაქტი უნდა მოვიყვანოთ. ყველასათვის აშკარაა, რომ საჩხერის მოძრაობა წმინდა ოსური, ნაციონალისტური იყო და ვინც ამ ფაქტს უარჰყოფს, ის ცხადია, განზრახ სცრუობს.

მ. გეშაპაძე(?).

# საქართველოს მოხელეთა კავშირის გარშემო

კვირას, 28 ივლისს, მოხდა სრულიად საქართველოს მოხელეთა კავშირის წევრთა საზოგადო საგანგებო კრება.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კრება ფრიად საგულისხმო აღმოჩნდა როგორც დამსწრე წევრთა მრავალ-რიცხოვნობით, რომელშიაც შედიოდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის მიმდევარნი, აგრეთვე თავის დღიური(?) საქმიანობით და გამოტანილ რეზოლუციებით.

კრებას დაესწრნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მოხელეთა კავშირთა-კავშირის წარმომადგენლნი.

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ნაციონალიზაცია.
2. მოხელეთა კავშირის რამე ბეჭდვითი ორგანოს საგამომცემლო ფონდის დაარსება.
3. ყოფილ ამიერ-კავკასიის მოხელეთა ცენტრალურ საბჭოს გაუქმება და
4. თვით ამ კრებაზე აღძრული საკითხი მოხელეთა აუცილებელ შიმშილისაგან გადარჩენის შესახებ.

საკითხების განხილვაში ყველა, განურჩევლად მათი მიმართულებისა, გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა და თუმცა კამათი ხშირად მწვავე ხასიათს იღებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საკითხი ყოველ მხრივ განხილული და გაშუქებული იხატებოდა მსმენელთათვის.

ყველა ორატორების სიტყვებიდან ჩანდა, რომ მოხელენი, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენის სხვა და სხვაობისა, ერთმანეთს უახლოვდებიან ისეთ საკითხებში, როგორნიც არიან, მაგალითად, დედა-ენის და სამშობლოს სიყვარული და განვითარება-აღორძინება.

კრებაზე დამსწრე ცხადათ დაინახავდა, რომ ქართველ მოხელეს უკვე [illegible] მიზნებისათვის და თავისი ძალ-ღონისათვის სამშობლოს წინაშე კარგად შეეგნო.

აღნიშნულ საკითხების განხილვის შემდეგ კრებამ თვითეულ საკითხზე ცალკ-ცალკე გამოიტანა შემდეგი რეზოლუციები:

1. „საქართველოს მოხელეთა კავშირის წევრთა საგანგებო კრება აღნიშნავს, რომ კავშირთა-კავშირის საბჭოს მიერ მთავრობისათვის წარდგენილი მოხსენება შესახებ ნაციონალიზაციის განხორციელებისა პირველ მარიამობისთვემდე მხოლოდ გაუგებრობის გამო იყო მიღებული, როგორც [illegible] გამოცხადება. კავშირი ჰფიქრობდა და ფიქრობს არა მთავრობის წინააღმდეგობას და რაიმე ძალმომრეობითი ნაბიჯის მიმართვას, არამედ სრული თავისი ძალით მის დახმარებას, რათა ნაციონალიზაცია განხორციელებულ იქმნეს სწრაფად, მაგრამ უმტკივნეულო გზით.

კავშირი დარწმუნებულია, რომ მოხელეთა ცოდნა და გამოცდილება ფრიად თვალსაჩინო დახმარებას გაუწევს მთავრობას და ამიტომ ავალებს საბჭოს მთელი თავისი ენერგიით მხარი მისცეს მთავრობას, განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნოს თვალი მის მოქმედებას ამ ფორმებში და, როდესაც საჭიროდ დაინახავს, თამამად მიუთითოს მთავრობას—სად და რა ზომებია საჭირო დროს საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად“.

2) „ეთხოვოს ყველა მოხელეს, შეძლებისდა გვარად, გადაიხადონ საგამომცემლო ფონდის დასაარსებლად არა ნაკლებ ხუთი მანეთისა, რომელიც დაუბრუნდება შემომტანს კავშირის ფინანსიური მდგომარეობისათანავე, მხოლოდ უსარგებლოდ“.

3) „საქართველოს მოხელეთა საზოგადო საგანგებო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ყოფილ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირთა კავშირის ლიკვიდაციის და მასთან დამოკიდებულ მუშაობის შესახებ, ერთხმად კიდევ აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის ცენტრალური საბჭო დღევანდელ პოლიტიკური მდგომარეობის გამო დაშლილად ითვლება და ერთად ერთი უფლება მოსილ ორგანოთ და სრულიად საქართველოს მოხელეთა კავშირთა-კავშირის ცენტრალური საბჭო და ამ რიგად არავითარი დადგენილება და გამოსვლა ყოფილ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ საბჭოისა სავალდებულო და საყურადღებო არ არის; ყოველივე სალიკვიდაციო საკითხები მასთან დაჭერებით(?) მიაწოდოს რიგის(?) სრულიად საქართველოს მოხელეთა ცენტრალურმა საბჭომ“.

4) „მიენდოს სრულიად საქართველოს მოხელეთა კავშირის საბჭოს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შესაფერი მოხსენება მოხელეთა აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“.

სვიმონ მანაგაძე(?).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოატყუა პავლე იმპერატორმა მეფე გიორგი

(გაგრძელება)

ამას გარდა ალექსანდრეს: გაახსენდა ერეკლე მეფის ბევრი სხვა დარიგებანი, ამიტომ ცოტა არ იყოს, მას შერცხვა თავის თავის და სთქვა გულში, რომ ჩემგან ეს იქნება დიდი ცოდვა და ჩემის მამის ერეკლე მეფის დავალების გმობა, რომ ჩემის ძმის შეცის გიორგის მტრობით და ჯიბრით ათასი ქართველი კაცი მოვკლა.

მე ამას ვერ ვიზამ, თვით გიორგი უნდა იყოს აქ, რომ იმას ეცადა საქართველოს ღალატისათვის და ყელი გამოვღადროთ. გიორგი არათ დირს, ჩემი გმობა და შერცხვენა იქნება რომ მისის ბოროტების გულისთვის ათასი კაცი ქართველი გავიმეტო და გავაფუჭოთ.

ეს გმირი კაცი, ანუ საქართველოს მიტრიდატი დიდის მამულიშვილურის გრძნობით ალივსო, ამით იგი დიდათ და მწარედ დაღონდა. მან გადაწყვიტა: არა, მე საქართველოს ათას ქართველ კაცს არ მოუკლავ, მე ისევ უკან გავბრუნდები და მცირე რამ შეტაკების გარდა ომს არ განვაგრძობ.

ალექსანდრე ბატონიშვილმა სხვა ხანებთან ისაუბრა, ყველას აუწყა, რომ რუსის ჯარით ქართველები დაგვამარცხებენო, ამიტომ უმჯობესია, რომ ომი შევაჩეროთ და ამადამ გავიპაროთ, მით ჯარი გადავარჩინოთო. ხანებს ესეთი დარიგება დიდათ მოეწონათ და სადამოს ჟამს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ჯარი უკან დაასწია, ომი შეჩერდა, მეორე დღეს, ეს ჯარი უკვე თავის გზას გაუდგა და მით ეს „ნიასურის ომიც“ გათავდა.

გულიაკოვმა და ლაზარევმა ესეთი გარემოება ქართველთა და რუსთა გამარჯვებათ ჩასთვალეს და ესენიც მალე დაბრუნდენ ტფილისში ვითომც და გამარჯვებულნი, მალე ეახლნენ სნეულს და ლოგინში მწოლ მეფე გიორგის, მოახსენეს თვისი გამარჯვება, ამ გარემოებამ მეფე გიორგი ისე გაახარა, რომ თვით გიორგიმ და სამეფო ოჯახის ქალებმა ხელებიდან ძვირფასი ბეჭდები გაიძრეს და გენერალ გულიაკოვს და ლაზარევს გაუკეთეს, ასევე სხვა რუსის აფიცრებს და ჯარის კაცთაც სცეს პატივი. ამას ასე მოწმობს ისტორიკოსი პ. იოსელიანი მეფე ერეკლეს ქალის რიფსიმეს სიტყვით.

ასე და ამგვარათ მომხდარა ამ „ნიასურის ომის“ საქმე, რუსეთის სამხედრო მინისტრებსაც ეს ყალბი გადმოცემა უწერიათ ისეთის ცნობებით რითაც გამოქვეყნდა ის გარემოება, რომ „ნიასურის ომში“ ქართველებმა გაიმარჯვეს რუსების ჯარის და გენერლების დახმარებითო. ამ სიცრუეს ნათლად აშენებენ ის გარემოებაც, რომ ისტორიკოსმა პლატ. იოსელიანმა, ქართულს ენაზედ დაწერა „მეფე გიორგის ცხოვრება“, იქ ამ მეფის მოქმედების ყველა წვრილმანი ამბებიც კი აწერა, „ნიასურის ომის“ შესახებ კი არასფერს სწერს. ერთ ადგილას კი შემდეგი სტრიქონებიც კი მოჰყავს ამ ომზედ. აი მისი სიტყვები:

„რადგანაც ნიასურის ომი“ რუსულად და ქართულად მრავალთაგან არის აღწერილი, ამიტომ მე ამას აღარ ავსწერ. ამ სიტყვების დასკვნა ის გახლავსთ, რომ ამ ომის ამბები სიცრუით არის აღნუსხული და ამიტომ მე მას აღარ ავწერო. მე ასე ვხსნი ამ გარემოებას. ამ ყალბად აღნუსხულმა ომის ამბებმა მეფე გიორგი ისე მოაქარვეს და მოაწყეს საქმე, რომ ამ ტყუილი გამარჯვების მეოხებით, რომ წინეთ თუ პავლე იმპერატორი ქრისტეზედ მაღლა დააყენა, ახლა პავლეს გენერლები გულიაკოვი და ლაზარევი ქრისტეს მოციქულების მსგავს პავლეს მოციქულებად ჩათვალა.

ამ ოსტატურს ჯადოქრობას მალე მოჰყვა ის გარემოება, რომ რუსთაგან ნასიამოვნები დამტკბარი მეფე გიორგიმ საყოველთაოდ გადასწყვიტა საქართველოს განცემა და რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება, რითაც ის სიამოვნებას გულში ფიქრობდა, რომ „ჩემს შემდეგ არც მე და არც შენო“, ეს იყო ჯიბრი იულონ ბატონიშვილისა, ალექსანდრე ბატონიშვილის და თვისის დედინაცვლის დარეჯან დედოფლის.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

# პურის თავისუფალი ვაჭრობა და კახეთი

მთელს კახეთში პურის მოსავლიანი სოფლები გარდა გარეკახეთისა და სადგურ წნორის წყლისა—დაშორებულნი რკინის გზის ლიანდაგს და იქ მისვლა გზლანდელ პირობებში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. დანარჩენი სოფლები რომელნიც რკინის გზის სადგურებთან მდებარეობენ განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობას მისდევენ (შიდა კახეთში) და პურს პირიქით თვითონ ვე ყიდულობენ. პურის თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებით გახალისებული წვრილი სპეკულიანტები, უსაქმოდ დარჩენილი უცხო ტომის მოხელეები და ლტოლვილები ფულის შოვნის სურვილით აგროვებენ რამდენიმე ასეულ მანეთს მიეშურებიან კახეთში და რადგან პურის ნამდვილი მოსავლიანი ადგილები დაშორებულია მთავარ ლიანდაგს—აწყდებიან სოფ. ბაკურციხეს, კარდანახს, გურჯაანს, ვაჩნაძიანს, მუკუზანს და ველისციხეს გარშემო მდებარე სოფლებს. ამ სოფლებში პურის მცირე მოსავალი იყო ძალიან და თავისი პური ხალხს მხოლოდ ორ-სამ თვეს თუ გაჰყვება. სოფ. ახალშენში მაგალითად მთელი წლის სარჩო მთელი სოფლის 460 კომლიდგან მხოლოდ 23 თუ აქვს. ხოლო ისეთები კი, რომელთაც პური დღეიდანვე სასყიდელი აქვს და სრულიად არ ჰქონია ნათესობა 50 პროც. აღწევს. ამ გვარივე მდგომარეობაა ყველა დანარჩენ სოფლებში. ყველა ეს უპურო ხალხი მინაბრებული იყვნენ უმთავრესად ალაზანს გაღმა სოფლებს ან ეგრედ წოდებულ უკანა მხარს (გარე-კახეთის ნაწილია) და ასე თუ ისე იოლათ მიდიოდენ და ყიდულობდენ ფუთ პურს 40—50 მანეთად. ეხლა კი, როდესაც ყოველ მატარებელს კახეთისას მუდამ დღე 500—800 სპეკულიანტი შემოჰყავს აღნიშნულ სოფლებში პურის სასყიდლად (რომელთაც გარდა პურის გატანისა ათასგვარი უწესოება და ქალამნები სენი შემოაქვთ რაიონში) შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ერთ პურის გამყიდველზე 50 მყიდველი მოდის—პურის ფასმა რამდენიმე დღეში ფუთზე 40 მანეთიდან—170 მანეთამდე აიწია და შეუძლოთა ადგილობრივ მცხოვრებთ სული.

ველისციხის რაიონი (გარშემო მდებარე ოთხი სოფლით (დაახლოვებით 10—12 ათასი მცხოვრებია) მიუხედავად იმისა რომ იქ 13 კარგი წისქვილი მუშაობს და ხალხი პურითაც იოლათ მიდის ხოლმე—მაინც ყოველ წლიურად 200 ათას ფუთ ხორბალს ჰყიდულობდა გარეთ, ე. ი. ყოველ დღიურათ ხუთას ექვსას ფუთს. წლეულსაც მოსავალი ამ სოფლებში მცირეა. მაგრამ მიუხედავად ამისა თბილისიდან მოწოლილი ჩარჩი მოხელეები და ყველა მხრიდან შემოსული ლტოლვილები ყოველდღე 200—300 ფუთ პურს მიეზიდებიან სადგურ მუკუზანიდან მას შემდეგ რაც თავისუფალი ვაჭრობა დაიწყო. ეს გარემოება აიხსნება იმითი რომ ველისციხე ისეთი ელემენტითაა უმთავრესად დასახლებული რომელიც ჩარჩობასაც და უმთავრესად ლტოლვილების შემოსვლას ხელს უწყობს. ამას გარდა ამ სოფლებში ბევრი წისქვილებია და წვრილ-წვრილად წამლებისათვის ხელსაყრელია. თავისი ხორბალი აქვე გამოქვავს. მთელი შემოსავალი წისქვილებისა კი მინდის სახით (დაახლოვებით 80 ფუთამდე დღეში) რომლითაც რაიონის უღარიბესი ნაწილი იოლათ მიდიოდა, დღეს თბილისის ჩარჩებს გააქვთ გარეთ და ეს გარემოება კი ხალხში დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს, რამაც უკვე თავი იჩინა.

ამიტომ ველისციხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა სადაც თავს იყრის აღნიშნულ რაიონის მცხოვრებთა 98 პროც. რომელიც ფრიად დაინტერესებულია რომ სოფლები სურსათით უზრუნველყოფილ იყვნენ შუამდგომლობს სასურსათო სამინისტროს წინაშე:

1. საზოგადოდ კახეთში პურის შეძენა შეიძლებოდეს მარტო მთავრობის, ქალაქის თვითმართველობების, ქალაქის კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საჭიროებისთვის, მათის რწმუნებულების, კონტრ-აგენტების თუ აგენტების საშუალებით, ხოლო თვით კახეთის კოოპერატივებმაც გამოიყენებულ იქმნან როგორც კონტრ-აგენტები.

2. ზოგიერთი რაიონებიდან და კერძო შემთხვევაში ველისციხის რაიონიდან აღიკრძალოს პურის გატანა რადგან მოსავლის სიმცირისა გამო უზომო სპეკულიაციას იწვევს და ამ საქმის გაძღოლა ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიენდოთ ადმინისტრაციის მონაწილეობით.

3. საჭირო შემთხვევებში მოხდეს რეკვიზიცია ხორბლის სალეწ მანქანებზე და წისქვილში შემოსულ მინდისა საზოგადო საჭიროებათათვის განსაზღვრულ ფასებში.

4. დანარჩენ რაიონებში პურის შეძენა ხდებოდეს კახეთის კოოპერატივთა კავშირებთან და ადმინისტრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. კოოპერატივებს დაეთმოთ საქონელი პურზედ გადასაცვლელად მთავრობისთვის.

გ. წინამძღვრიშვილი.

# მოწოდება ქართველთადმი

ძვირფასნო მამულიშვილნო!

მოგეხსენებათ, რომ ქართული საეკლესიო გალობა არის ჩვენი ერის სულის გენიალობის ერთი თვალსაჩინო მხარის გამოხატულება და უტყუარი საბუთი ქართველთა მაღალ კულტურიანობისა. ეს გალობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უპეტკებდა ქართველებს გულსა და გონებას მაღალი იდეალებით და განაცდევინებდა იმ საღვთო წამებს, როდესაც ქვეყნიური ცხოვრება გრძნობს თავის-თავს, ცოდვილს ესახება ღვთის მშვიდობის რწმენა, ქვეყანა და მიდამო კაცს ეხატება სამოთხედ.

მაღალი, კეთილშობილური მიმართულება, რაინდობა, სიმტკიცე და უდრეკელობა ნებისყოფისა, რომლითაც ცნობილ იყვნენ ისტორიაში ჩვენი წინაპრები, შედეგი იყო უმთავრესად იმისა, რომ იგინი საერთო ღვთის ვედრების დროს იტკბობდნენ ყურთა სმენას მოხიბლავი ქართული გალობით...

საშინელის პოლიტიკური ცხოვრების ბორბლის უკუღმა გადატრიალებამ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, საუცხოო გალობაც საგრძნობლად დაგვისახიჩრა, რის გამოც ჩვენი ნათელი ეროვნული სოფლისხედველობაც შეიბღალა, რაინდობა ჩამოქვეითდა, მანამდე ჩვენი დამახასიათებელი სიმტკიცე ნებისა გაიზზარა.

დღეს, როდესაც უზენაესმა განგებამ კვლავ თავს დაგვადგა თავისუფლების ბრწყინვალე გვირგვინი, საშინლად დასაგმობ ცოდვას ჩავიდენთ დიდი და პატარა, რომ ახლავე არ შევეცადოთ მთელი ჩვენი არსებით ჩვენი ქებული ძველი გალობის აღდგენას.

ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა, გამოქვეულმა საეკლესიო გალობის აღდგენის წადილით, მიმდინარე წლის მკათათვის 28-ს ქ. თბილისში დაარსა ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ საგანგებო კომიტეტი იმ დავალებით, რომ აღუთქმა მოუპოვოს ქართულ მგალობელთა გუნდს შეწირულების საშუალებით საჭირო თანხა.

გაუწყებთ რა ამას პატრიოტიზმით, მამობრივი გულმხურვალეობით გთხოვთ და გევედრებით მდიდარსა და ღარიბს: ნურავინ ნუ დაიშურებთ ხსენებული დიდი საქმისთვის ხვედრ წვლილს, ყველამ წილი ჩაიდეთ შეწირულების გაღებით ქართული გალობის აღდგენის საქმეში და გწამდეთ, რომ ამითი მტკიცე საძირკველს ჩაუდგამთ მშობლიო ერის საერთო ბედნიერებას, ვინაიდან თანახმად ებრაელთა მეფე დავითის უკვდავი სიტყვებისა „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა.“

მდაბალი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე.


პარასკევს, 9 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე (ახალ დროით) სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა

**საზოგადო კრება**

ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს მოხსენებას

**ეროვნების შესახებ**

დასწრება შეუძლიათ პარტიის თანამგრძნობლებსაც. 2—1

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა**

**კანცელარია იმყოფება „საქართველოს“ რედაქციაში. კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროთი.**

---

1918 წ. ივლისის 25-და ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველ დღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით

**„საქართველოს რესპუბლიკა“**

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.

რედაქტორი ბ. დ. ხაჟვარელიძე.

---

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

**გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო**

**„საქართველო“ ყოფილი „ამირანი“**

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეთებით

დაუკრავს ხიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

---

**საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო**

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

---

**თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა**

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის“ 6 ივლისის № 138-ში

---

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

**ნ. დ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საშვილოსნოს და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმხოვაჩის აფთიაქის გვერდზე.

2 თვ.—1658.

---

ექიმი

**გ. ღ. ხანდუკელი**

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-საავადმყოფო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლდის ქუჩა № 22.

---

ექიმი

**გ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან. 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

**საავადმყოფო**

უფასო კბილის საავადმყოფო

ექიმ ე. ვ. მძინარიშვილის და ლ. გ. ნაზარეთიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნური კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირთეინ“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირთეინის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-მდე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბებს მიიღებენ კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

---

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

**ალექსანდრე დავითის ძის მეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება დილის 6 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

---

გ ა ი ხ ს ნ ა

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნაშუადღევ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

---

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

მისამართი: მასკოვის ქ. № 11.

თ—1536—49